ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართველ მუშებს და გლეხებს.

**ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო!**

ჩვენი სამშობლო უფსკრულის პირას დგას. დიდი ხანია, რაც განსაცდელშია, დიდი ხანია მოძალადეებ სჯიჯგნიან მის სხეულს. მაგრამ დღეს ახალი საშინელი ტალღა გვაწვება კარზე. ეს წალეკვას უქადის ჩვენს ეროვნულ ავლადიდებას, ჩვენი ქვეყნის მდიდარ კულტურას. ამ საბედისწერო წუთებში ჩვენ უმნიშვნელოთ მიგვაჩნია პარტიული ინტერესების ბრძოლა. არც ერთ პარტიას ჩვენ არ ვუწევთ ანგარიშს. არ ვაპირებთ რომელიმე პარტიულ წისქვილზე წყლის მიშვებას. გვინდა მივმართოთ ქართველ მუშის, ქართველი გლეხის სულსა და გულს, გვინდა მშრომელი ხალხის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს თავზე დატრიალებულ უბედურებას.

თებერვლის საშინელი დღეებიდანვე ვიცოდით, რა მოელოდა ჩვენს სამშობლოს. ვხედავდით, რა ჯოჯოხეთის კარები იღებოდა ჩვენი თვალის წინ. ცხადი იყო, რომ მოძალადეების ქუსლი გასრესდა ჩვენს წმიდათა წმიდას, სიცოცხლის საშუალებას მოუსპობდა მშრომელ ხალხს. ეს ვიცოდით, ამას წინდაწინ ვხედავდით და თავგანწირულათ ვიბრძოდით. ჩვენ არ გვაბრძოლებდა არავითარი პარტიული მისწრაფება. არც ერთი ბატონობისათვის არ გამოვიდოდით თავს. ჩვენ ვიცავდით მხოლოდ საქართველოს, მის გადასარჩენათ სამსხვერპლოზე მიგვქონდა ჩვენი სისხლი და ჩვენი ძვალხორცი.

ჩვენ არ გვჯეროდა, როცა გამეფებული პარტია გვარწმუნებდა,—სწორედ ახლა 25 თებერვლის დღიდან იწყება საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობაო. მაგრამ ბევრს ეგონა მაინც, რომ საქართველოს ბატონ-პატრონი სხვა სახელმწიფო არ გახდებოდა. ჩვენ, უპარტიო მუშებს, გვწამს, რომ ქართველი კომუნისტები თითონ არ მოელოდენ იმას, რასაც ახლა განიცდის საქართველო. ქართველი ხალხი არ არის უზრუნველყოფილი თავის საკუთარ სახლში. ქართველი ერის ბედიღბალი უცხო სახელმწიფოს ხელშია. საქართველო თავის ნებაზე ველარ იყენებს თავის ბუნებრივ სიმდიდრეს. საქართველოს განკარგულებაში აღარ არის მისი ეკონომიური სხეულის საცოცხლო ძალები. საქართველოს აღარ აქვს თავის რკინის გზა, თავისი ფოსტა-ტელეგრაფი. საქართველო დამოუკიდებლათ ველარ აწარმოებს თავის საშეურნეო, საფინანსო პოლიტიკას. მოსკოვის ხელშია საქართველოს საგარეო პოლიტიკა. ქართველ ერს აღარ ჰყავს თავისი ჯარი. ქართველი მუშა იდევნება საქართველოს ფაბრიკა-ქარხნიდან. ქართველ ვაჭარს, ხელოსანს ეკეტება თავის სავაჭრო-სახელოსნოები. ქართველი გლეხი არ არის დარწმუნებული, რომ მის გარემოში, მის სახნავ-სათესში ვინმე უცხოელი არ ჩაესახლება. საქართველოს მოქალაქეს ყოველთვის მოელის საქართველოდან გაძევება. ქართველი ერი თავისუფლათ ვეღარ სარგებლობს ქართული ენით, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა უცხოთ გრძნობს თავს ქართულ სკოლაში. საქართველოს ეროვნული ავლადიდება მტვერდება და ნიავდება, ქართულ კულტურას საძირკველი ეცლება. ქართველ ერს ხელიდან ერთმევა ყოველივე ნასახი დამოუკიდებელი არსებობის. რჩება მხოლოდ გარეგნობა, მაგრამ ესეც თვალში ეჩხირება მოსკოვს და ჩვენ ვგებულობთ, რომ გარეგნულათაც სრულიად ელევა ბოლო საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამხანაგებო, მოსკოვი დღეს მოურიდებლათ, პირზე ნიღაბ ჩამოუფარებლათ ეწევა საქართველოს მესაფლავეობას, ცდილობს თავის ყურმოჭრილ გუბერნიათ იმის გადაქცევას. ჩვენ კარგათ ვიცით, რას ფიქრობს ქართველი მშრომელი ხალხი, კარგათ ვიცით, რომ კომუნისტი მუშებიც წინაამდეგნი არიან საქართველოს გასრესის. ნამდვილი წყაროებიდან ვიცით ისიც, რომ საფრთხეში არიან თვით ქართველი კომუნისტები.

ამას ვტყობილობთ ქართველი კომუნისტებისგან. როგორც თითონ ქართველი კომუნისტები გადმოგვცემენ, საქართველოს კომუნისტურ პარტიის გა-

P 10936
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუცხადებია სურვილი მესამე ინტერნაციონალში დამოუკიდებლათ შესვლის. ეს ფრიად სამართლიანი მოთხოვნა საბაბი გამხდარა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, რომ დაედგინა საქართველოდან ყველა გავლენიანი და მოთავე კომუნისტების გაძევება. ჯერ მოუთხოვნიათ 21 კაცი, მერე ალბათ ბევრს მოითხოვენ, რასაკვირველია, „პარტიული დისციპლინის ძალით". ამ დადგენილების დასაბუთება გაჟღენთილია ჩვეულებრივი სიყალბით. ვითომ ცენტრალურ კომიტეტს რუსეთისთვის სჭირდება გამოცდილი [illegible] ძალები. თითქო საქართველო ისე აღჭურვილია ჭკვიანი და გამოცდილი მუშაკებით, რომ შეუძლია ზედმეტი გაუზიაროს რუსეთს. წითელი იმპერიალისტები წმენდენ საქართველოს ქართველებისაგან. პოლიტიკური რწმენა-მენშევიკობა-ბოლშევიკობა აქ არაფერ შუაშია. აქ მთავარი მიზეზია ქართველობა. საკმაო ქართველი იყო, ქართულად ლაპარაკი გინდოდეს შენ ქვეყანაში, ეს უკვე დანაშაულია, ამისთვის არა საიმედოთ ითვლები და გადასახლება მოგელის.

ასეთია რუსეთის კომუნიზმი... დაარბიეს აზერბეიჯანი, მთიულეთი, სომხეთი, ახლა მისწვდნენ საქართველოს. ეს არის უკანასკნელი სიტყვა მოსკოვის კომუნისტების. ისინი არ ენდობიან ქართველ კომუნისტებსაც. კომუნიზმის სამოსელში ჩვენი ერის წინ სდგას რუსეთის ძველი რეაქცია. ის მიერეკება ქართველს საქართველოს მიწა-წყლიდან, მიერეკება მენშევიკს, კომუნისტს—სულ ერთია. უნდა, რომ ქართული ხსენებაც აღარ დარჩეს საქართველოში.

ამნაირათ, ჩვენ უპარტიო მუშებს არ შეგვიძლია ხმა არ ავიმაღლოთ, როცა ჩვენი თვალის წინ ხდება ჩვენი ერის მკვლელობა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მუშებს, მთელ ქართველ ხალხს მიმართულების განურჩევლათ, დაივიწყოს ყოველგვარი უთანხმოება და ერთმანეთს გვერდში ამოუდგეს საქართველოს გადასარჩენათ.

ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს სამრეკლოზე ჩამოკრული ზარის ხმა საშიშროების მომასწავებლათ მოხვდეს გულში ყველას, ვინც საქართველოში დაბადებულა, აღზრდილა, ვისაც სამშობლოს მიწა თავისი ოფლით დაუსველებია. სამშობლოს ვერ იხსნის ვერც ერთი პარტია, საჭიროა უპარტიო დროშის ქვეშ გაერთიანებული ფრონტი. სამშობლო მსხვერპლს მოითხოვს თავის გადასარჩენათ. ეს მსხვერპლი იქნება პარტიული სხვა და სხვაობის დავიწყება, ერთათ ბრძოლა, ერთათ სიკვდილი ან გამარჯვება.

ჩვენ განსაკუთრებით მივმართავთ ქართველ კომუნისტებს, რომლებსაც ბედმა არგუნა საქართველოში უცხო ძალების შემოყვანა. დროა გონს მოვიდენ, ქართველ მშრომელ ხალხს სულ ნუ გადაუდგებიან. ქართველი ხალხი არ არის შურის მაძიებელი და ბოროტი.

იმის მიუხედავათ, რომ საქართველოს კომუნისტების დახმარებით—წინამძღოლობით ჩვენ წაგვართვეს სამშობლო, თავისუფლება, მუშებით ციხე-სარდაფები აავსეს, ქართველი მშრომელი ხალხი ყველაფერს დაივიწყებს და ხელს გაუწვდის ქართველ კომუნისტებს. სიტყვა მათ ეკუთვნით. უნდა გადასწყვიტონ,—ქართველ მშრომელ ხალხთან, თუ მის წინააღმდეგ.

როცა სახლი იწვის, ცეცხლს ჩაქრობა უნდა. არ შეიძლება ამ დროს პარტიული ანგარიშების სწორება, შურისძიება, უთანხმოება. მთელი საქართველო უნდა გაამსჭვალოს ერთი აზრით, ერთი გრძნობით. ეს მოგვცემს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი ერი, ჩვენი მშრომელი ხალხი შესძლებს დამპყრობთა ბრჭყალებისგან განთავისუფლებას.

მაშ გაუმარჯოს მთლიანობას და სიმტკიცეს!

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას.

**უპარტიო მუშათა კონფერენცია.**

თბილისი, 1922 წელი.
27 ოქტომბერი.